

Image not found or type unknown

კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ გაეროს სპეციალურ მომხსენებელს მიმართავს

კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების საკითხებში გაეროს სპეციალურ მომხსენებელს, ბატონ კლემენტ ნიალეთსო ვულუს წერილობით მიმართა. წერილში აღწერილია საქართველოში მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის ხარვეზები, რომლის გამოყენებითაც იზღუდება მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება.

ამჟამად, საქართველოს პარლამენტი იხილავს შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტორობით მომზადებულ კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს წვრილმანი ხელიგნობისა და პოლიციის დაუმორჩილებლობისთვის ადმინისტრაციული ჯარიმების მნიშვნელოვან ზრდას. კოალიციის მოსაზრებით, სანქციების მნიშვნელოვანი გამკაცრება დაუსაბუთებელი და არაპროპორციულია. ამასთან, ამ ცვლილებებს პირდაპირი გავლენა ექნება მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობაზე ქვეყანაში.

კოალიცია თხოვნით მიმართავს სპეციალურ მომხსენებელს, გამოიყენოს მისი მანდატით გათვალისწინებული მექანიზმები და შეისწავლოს საქართველოში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის გამოყენებით მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პრაქტიკა. ვფიქრობთ, ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის რეფორმის პროცესს საქართველოში.

მიმართვის სრული ტექსტი იხ. ქვემოთ.